# ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში 2012-2022 წლები

## კობა ლურსმანაშვილი-ხარაგაულის მერი



2013 წელს პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, კობა ლურსმანაშვილმა კონკურსის წესით დაიკავა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობა. 2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ხარაგაულის გამგებლად აირჩა. 2016 წელს ბატონმა კობამ პარლამენტში გადაინაცვლა და როგორც მაჟორიტარი დეპუტატი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა მშობლიური კუთხის მიმართ. დეპუტატობის უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ ხარაგაულის მოსახლეობამ მას კიდევ ერთხელ გამოუცხადა ნდობა და 2020 წელს მუნიციპალიტეტის მერი გახდა. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე კობა ლურსმანაშვილი კვლავ აირჩა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერად და დღემდე აქტიურად და ნაყოფიერად ახორციელებს მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობას.



### საქართველოს პარლამენტში საქმიანობის პერიოდი

2016 წელს კობა ლურსმანაშვილი არჩეულ იქნა ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარ დეპუტატად და მისი ოთხწლიანი საქმიანობა საქართველოს პარლამენტში საკმაოდ ნაყოფიერი გახლდათ. იყო რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების წევრი. გარდა ამისა, 2017-2020 წ.წ. საქართველოს მთავრობის (თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრი) მთის განვითარების ეროვნული საბჭოს წევრი და სწორედ მისი დეპუტატობის პერიოდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 11 სოფელს მიენიჭა მაღალმთიანი დასახლების სტატუსი. იყო არაერთი პროექტისა და კანონპროექტის თანაავტორი. მისი ძალისხმევით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში განხორციელდა ძალიან ბევრი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი და არაერთ ადამიანს გაეწია სხვადასხვა საკითხზე დახმარება.

## საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ქალბატონი მანანა ბარბაქაძეა. იგი აღნიშნულ პოსტს 2016 წლიდან იკავებს.

2013-2017 წლებში გახლდათ ბორითის თემის მაჟორიტარი დეპუტატი, 2016 წლამდე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

2013 წლიდან ხარაგაულში მისი ინიციატივით არაერთი სოციალური და სამედიცინო აქცია განხორციელდა.

ქალბატონი მანანას ორგანიზებით ვაშლევში აიგო ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი.

## პაატა კვიჟინაძე-საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი



2020 წლის 31 ოქტომბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებზე საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი პაატა კვიჟინაძე გახდა.

ბატონი პაატა საქართველოს პარლამენტში 2012 წლიდან საქმიანობს. არის სამგზის მოწვევის დეპუტატი.

ამჟამად საკანონმდებლო ორგანოში გახლავთ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

პაატა კვიჟინაძე აქტიურადაა ჩართული ხარაგაულისათვის პრობლემატური საკითხების მოგვარებაში. პროექტების დაფინანსების მოპოვების მიზნით, აქტიურად თანამშრომლობს სამინისტროებთან, სხვადასხვა ფონდთან და უწყებასთან. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბატონი პაატა ინდივიდუალურად განიხილავს ყველა იმ საკითხს, რაც მოქალაქეებს აწუხებთ და დეპუტატის ბიუროში ფიქსირდება. იგი კომპეტენციის ფარგლებში თითოეულ მოქალაქეს ეხმარება და მაქსიმალურად ცდილობს მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების აღმოფხვრას.

# რა გაკეთდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2012-2022 წლებში
## ანგარიში მოსახლეობას

2012 წლის ოქტომბრიდან, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია აქტიურად დაიწყო.

ახალი საბავშვო ბაღები, სკოლები, სამედიცინო დაწესებულებები, იუსტიციის სახლები, გზები, ხიდები, სოფლების გაზიფიცირება, 24-საათიანი წყალმომარაგება, წყალარინების (კანალიზაციის) სისტემის მოწესრიგება, სკვერებისა და პარკების რეაბილიტაცია - ეს იმ პროექტების ჩამონათვალია, რომლებიც ბოლო ათი წლის განმავლობაში ხარაგაულში განხორციელდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მუნიციპალიტეტში ამდენი ინფრასტრუქტურული პროექტი, რაც ბოლო ათ წელში განხორციელდა, არასდროს გაკეთებულა. მოსახლეობას ისეთი პრობლემები მოუგვარდა, რომლებიც წლებია აწუხებდათ. სასიხარულოა, რომ სოფლებში გვხვდება რეაბილიტირებული გზები, ახალი აშენებული ბაღები, სკოლები, გაზიფიცირება...

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამ პროექტების განხორციელებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას (მერიასა და საკრებულოს), მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ პაატა კვიჟინაძეს, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციას. კოორდინირებულმა და აქტიურმა მუშაობამ შედეგი გამოიღო და დღეს სრულიად განსხვავებული და გალამაზებული ხარაგაული გვაქვს, ვიდრე ათი წლის წინ იყო.

საერთო ჯამში, 2013-2022 წლებში ხარაგაულში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ცენტრალური ბიუჯეტიდან 198 380 250 ლარი დაიხარჯა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან კი - 13 067 700 ლარი.

***

გთავაზობთ პროექტების ჩამონათვალსა და ღირებულებას, რომლებიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2012 -2022 წ.წ. განხორციელდა.

## სამედიცინო დაწესებულებები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ორი ახალი კეთილმოწყობილი სამედიცინო დაწესებულება ფუნქციონირებს, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის მმართველ პოლიტიკურ ძალასა და ადგილობრივ ხელისუფლებას.



მუნიციპალიტეტში მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულება 2016 წელს, ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერ-მინისტრობის პერიოდში, აშენდა. თავდაპირველად ამ ადგილას ამბულატორია გაიხსნა, შემდეგ 14 საწოლზე გათვლილი სტაციონალური განყოფილება.

დიდი ყურადღება ექცევა სასოფლო ამბულატორიებს, რამდენიმე მათგანი რეაბილიტირდა, ზოგან კი ახალი აშენდა.

წყალაფორეთი, ვახანი, ხიდარი, ფარცხნალი - ეს ის სოფლებია, სადაც ამბულატორიებს რეაბილიტაცია ჩაუტარდა და ახალი ინვენტარით აღიჭურვა. ახალი ამბულატორიის შენობა აიგო სოფელ წიფაში.


ხარაგაულის კლინიკა

გარდა ამისა, 2021 წლიდან ნადაბურისა და გედსამანიის მოსახლეობა სამედიცინო მომსახურებას ადგილზე იღებს. პრობლემა, რომელიც აქ მცხოვრებთ წლების განმავლობაში ჰქონდათ, მოგვარდა. ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, გადაწყვეტილებით, დაინიშნა ექთანი, რომელიც ადგილობრივებს დახმარებას ყოველდღიურად უწევს.

# ბორითში გადაუდებელი დახმარების სამედიცინო დაწესებულება ბიძინა ივანიშვილის ფინანსური მხარდაჭერით აშენდა



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორითში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კლინიკა 2012 წელს ბატონ ბიძინა ივანიშვილის ფინანსური მხარდაჭერით აშენდა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მასშტაბით აღნიშნული სამედიცინო დაწესებულება თავისი ინფრასტრუქტურით ერთ-ერთი გამორჩეულია. საავადმყოფოში განთავსებულია მაღალი დონის აპარატურა და დღემდე აქ მომუშავე მედპერსონალმა არაერთი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა.



ბორითის კლინიკა

თბილისი–სენაკი–ლესელიძის საავტომობილო გზაზე სამედიცინო დაწესებულების არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

# პროგრამის „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში დაბის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობებს რეაბილიტაცია უტარდება



პროგრამის „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში ხარაგაულის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობებს რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

ამჟერად მიმდინარეობს სოლომონ მეფის ქუჩაზე მდებარე სკვერების განახლება, რაც სრულიად შეცვლის და გაალამაზებს ხარაგაულის იერსახეს.

მალე დაიწყება ტროტუარების მოპირკეთება და დამონტაჟდება გარე განათების თანამედროვე სისტემა.

აღნიშნული პროგრამა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, ინიციატივით დაიწყო და საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს მოიცავს.

პირველი ეტაპის სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება 500 მილიონი ლარია, რომელიც ითვალისწინებს რეგიონების ურბანულ განახლებას, სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტისა და კერძო საკუთრებაში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტების განვითარებას.

პროგრამის ფარგლებში ხარაგაულში 20 მილიონი ლარი დაიხარჯება და შენობა-ნაგებობების მოწესრიგება კვლავ გაგრძელდება.

## საზოგადოებრივი ცენტრები

საქართველოს მთავრობის საქმიანობაში ერთ-ერთი პრიორიტეტი სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაა. ამ მიმართულებით აღსანიშნავია საზოგადოებრივი ცენტრები, რომლებიც სახელმწიფო სერვისების მიწოდების ერთ-ერთი წარმატებული მაგალითია.

2013 წლამდე ხარაგაულში არცერთი საზოგადოებრივი ცენტრი არ ფუნქციონირებდა. მერის ბ-ნ კობა ლურსმანაშვილის, იუსტიციის სამინისტროსა და ქ-ნ თეა წულუკიანის ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად, ამ წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტში ოთხი საზოგადოებრივი ცენტრი აშენდა და მოსახლეობას მათთვის საჭირო სერვისებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა ადგილზე გაუჩნდა.

დაბა, კიცხი, ღორეშა და ხევი - ეს ის ადმინისტრაციული ერთეულებია, სადაც საზოგადოებრივი ცენტრი ფუნქციონირებს. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივებს სოფლიდან გაუსვლელად შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ სახელმწიფო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი მომსახურებით.

ე.წ. „ერთი ფანჯრის პრინციპით“ შეუძლიათ აიღონ პასპორტი/პირადობის მოწმობა, განახორციელონ უძრავი ქონების რეგისტრაცია, მიიღონ საკადასტრო გეგმა, საარქივო მომსახურება და სხვა.

გარდა ამისა, ხელმისაწვდომია „მაგთისა“ და „ლიბერთი ბანკის“ მომსახურებაც, რაც პენსიონრებს პენსიის მიღების, ახალგაზრდებს კი 24-საათიანი უკაბელო ინტერნეტით უფასოდ სარგებლობის საშუალებას აძლევს.

კობა ლურსმანაშვილის ინფორმაციით, საზოგადოებრივი ცენტრის აშენება დაგეგმილია სოფელ მოლითში. ამ მიმართულებით ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლება, შესაბამის სამინისტროსთან, აქტიურად მუშაობს.






ხარაგაულის საზოგადოებრივი ცენტრი

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ბოლო ცხრა წლის განმავლობაში თექვსმეტი საბავშვო ბაღი აშენდა



2012 წლიდან, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებების მოწესრიგებას დიდი ყურადღება ექცევა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებისთვის მომავალი თაობის აღზრდა-განათლება პრიორიტეტია. ამის დასტურია ის, რომ ბოლო ცხრა წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი გახლავთ, ხარაგაულში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი თექვსმეტი ახალი საბავშვო ბაღი აშენდა, რამდენიმეს კი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა. სკოლამდელმა დაწესებულებებმა ფუნქციონირება დაიწყეს ისეთ სოფლებში, სადაც საბავშვო ბაღები არასდროს ყოფილა.





ვერტყვიჭალის საბავშვო ბაღი





საღანძილის საბავშვო ბაღი

ამჟერად ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 21 საბავშვო ბაღი და ორი სასკოლო მზაობის ჯგუფი ფუნქციონირებს. მთლიანად გაერთიანებაში 523 აღსაზრდელი ირიცხება, რაც შეეხება თანამშრომლებს, მათი რაოდენობა 268-ს შეადგენს.

**საბავშო ბაღის ახალი შენობები აიგო შემდეგ სოფლებში:**

- სოფელ ვახანში-პროექტის ღირებულება 119 200 ლარი, განხორციელების პერიოდი 2013-2014 წ.წ.
- სოფელ ვარძიაში-პროექტის ღირებულება 119 200 ლარი, განხორციელების პერიოდი 2013-2014 წ.წ.
- სოფელ კიცხში - პროექტის ღირებულება 119 200 ლარი, განხორციელების პერიოდი 2013-2014 წ.წ.
- სოფელ ლელევანში - პროექტის ღირებულება 119 200 ლარი, განხორციელების პერიოდი 2013 - 2014 წ.წ.
- სოფელ ხიდარში - პროექტის ღირებულება 105 800 ლარი, განხორციელების პერიოდი 2013- 2014წ.წ.
- სოფელ წყალაფორეთში - პროექტის ღირებულება 117 500 ლარი, განხორციელების პერიოდი 2013-2014 წ.წ.
- სოფელ ზვარეში - პროექტის ღირებულება 49 200 ლარი, განხორციელების პერიოდი 2014 წელი.
- სოფელ ნადაბურში - პროექტის ღირებულება 200 800 ლარი, განხორციელების პერიოდი 2016 წელი.
- სოფელ ხევში - პროექტის ღირებულება 88 700 ლარი, განხორციელების პერიოდი 2016 წელი.
- სოფელ ღორეშაში - პროექტის ღირებულება 45 000 ლარი, განხორციელების პერიოდი 2016 წელი. 2020 წელს საბავშვო ბაღს დაემატა მეორე ჯგუფი. აღნიშნულ პროექტზე 26 000 ლარი დაიხარჯა.
- სოფელ წიფაში - პროექტის ღირებულება 110 500 ლარი, განხორციელების პერიოდი 2016 წელი.
- სოფელ სარგვეშში - საჯარო სკოლის შენობაში, რამდენიმე ოთახს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, სადაც განთავსდა საბავშვო ბაღი. პროექტის ღირებულება 12 000 ლარი, განხორციელების პერიოდი 2018 წელი.
- სოფელ გედსამანიაში - საჯარო სკოლის შენობაში, რამდენიმე ოთახს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, სადაც განთავსდა საბავშვო ბაღი. პროექტის ღირებულება 14 500 ლარი, განხორციელების პერიოდი 2020 წელი.
- სოფელ საღანძილეში - პროექტის ღირებულება 700 000 ლარი, განხორციელების პერიოდი 2020-2021 წ.წ.
- სოფელ ვერტყვიჭალაში - პროექტის ღირებულება 700 000 ლარი, განხორციელების პერიოდი 2020-2021 წ.წ.
- სოფელ ხუნევში - პროექტის ღირებულება 619 170 ლარი, განხორციელების პერიოდი 2022 წელი.

### სარეაბილიტაციო სამუშაოები

2014 წელს სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა ბორითის საბავშვო ბაღში, რისთვისაც 165 800 ლარი დაიხარჯა. გარდა ამისა, შენობა აღიჭურვა ახალი ინვენტარით.

2015 წელს კეთილმოეწყო დაბის N1, N2 და მოლითის საბავშვო ბაღებში სამზარეულოები და სველი წერტილები. საერთო ჯამში, აღნიშნულ პროექტებზე 63 100 ლარი მიიმართა.

2016 წელს სრული კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა დაბის N2 საბავშვო ბაღს - პროექტის ღირებულება 39 300 ლარი.

2020 წელს ცენტრალური გათბობა დამონტაჟდა დაბის N1 საბავშვო ბაღში - პროექტის ღირებულება 45 200 ლარი.

2022 წელს დაგეგმილია დაბის N2 საბავშვო ბაღის მეორე სართულის რეაბილიტაცია - პროექტის ღირებულება 41 823 ათასი ლარი.

## საჯარო სკოლები

ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლებისათვის განათლების სფერო პრიორიტეტია. სწორედ ამ მიზნით, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები სისტემატურად ხორციელდება და სამომავლოდ ეს ტემპი კვლავ გაგრძელდება. 2013-2022 წ.წ. ხარაგაულში რამდენიმე ახალი სკოლა აიგო, ზოგს კი სრული კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მოსწავლეები უფასოდ იღებენ სახელმძღვანელოებს, პირველკლასელები კი - პორტაბელურ კომპიუტერებს. გარდა ამისა, ბავშვებს უფასოდ ემსახურებათ სასკოლო ტრანსპორტი.

***2013-2022 წლებში, კობა ლურსმანაშვილის მერობისა და საქართველოს პარლამენტში საქმიანობის პერიოდში, ხარაგაულში ახალი სკოლა აშენდა:***

- ღარიხევში-პროექტის ღირებულება 150 000 ლარი;
- ხიდარში-პროექტის ღირებულება 443 600 ლარი;
- კიცხში-პროექტის ღირებულება 2 420 643 ლარი;

***გთავაზობთ იმ სკოლების ჩამონათვალს, რომლებშიც სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა:***

- მოლითის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (სახურავის შეცვლა)- ღირებულება 17 851 ლარი;
- დაბის მე-3 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - ღირებულება 99 679 ლარი;
- დაბის მე- 2 სკოლის თეთრაწყაროს კორპუსის რეაბილიტაცია - ღირებულება 71 933 ლარი;
- ღორეშის სკოლის ოთახებისა და სველი წერტილების რეაბილიტაცია - ღირებულება 16 809 ლარი;
- ნადაბურის საჯარო სკოლაში სველი წერტილების რეაბილიტაცია - ღირებულება 13 607 ლარი;
- ბორის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - ღირებულება 26 063 ლარი;
- ბორითის საჯარო სკოლაში პანდუსის მოწყობა - ღირებულება 7 255 ლარი;
- ლეღვნის საჯარო სკოლაში სველი წერტილების მოწყობა - ღირებულება 39 292 ლარი;









ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა

- ხიდრის საჯარო სკოლაში სველი წერტილების მოწყობა - ღირებულება 39 909 ლარი;
- საღანძილის სკოლის რეაბილიტაცია - ღირებულება 14 543 ლარი;
- წიფის საჯარო სკოლის სველი წერტილის რეაბილიტაცია - ღირებულება 33 382 ლარი;
- ბორითის საჯარო სკოლაში სველი წერტილის რეაბილიტაცია და შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა - ღირებულება 89 800 ლარი;
- ვარძიის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - ღირებულება 52 540 ლარი;
- ვახანის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - ღირებულება 53 321 ლარი;
- ლაშის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - ღირებულება 47 756 ლარი;
- ბაზალეთის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - ღირებულება 55 897 ლარი;
- ნებოძირის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - ღირებულება 49 807 ლარი;
- ვაშლევის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - ღირებულება 33 400 ლარი;
- სარგვეშის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - ღირებულება 28 934 ლარი;
- ჩრდილის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - ღირებულება 21 626 ლარი;
- დაბის N 2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - ღირებულება 99 752 ლარი;
- ბორის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - ღირებულება 43 122 ლარი;
- წიფის საჯარო სკოლის (მეორე კორპუსი) რეაბილიტაცია - ღირებულება 20 542 ლარი;
- ხუნევის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - ღირებულება 57 923 ლარი;
- ხუნევის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (სახურავის შეცვლა) - ღირებულება 41 954 ლარი;
- მარელისის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - ღირებულება 62 960 ლარი;
- ხევის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - ღირებულება 69 342 ლარი;
- ხევის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (დაზიანებული კარ-ფანჯრების შეცვლა) - ღირებულება 41 980 ლარი;
- ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია- ღირებულება 2 000 000 ლარი;
- მარელისის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია-ღირებულება 2 000 000 ლარი;
- გედსამანიის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (სახურავის შეცვლა) -ღირებულება 30 860 ლარი;

2023 წელს დაგეგმილია წყალაფორეთში ახალი სკოლის მშენებლობა. ამჟამად არსებული შენობის სადემონტაჟო სამუშაოებისთვის მზადდება დოკუმენტაცია. დემონტაჟის დასრულებისთანავე გამოცხადდება ტენდერი და დაიწყება ახალი სკოლის მშენებლობა, რაზეც დაახლოებით ორ მილიონი ლარი დაიხარჯება.



კიცხის საჯარო სკოლა

## საგზაო ინფრასტრუქტურა 2012-2019 წ.წ.





### დაბა ხარაგაული

- დაბის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია- 1,6 კმ, ღირებულება 1 900 600 ლარი;
- ქუჩებისა და ჩიხების რეაბილიტაცია ( 1 კმ ) და არხების გაწმენდა -ღირებულება 173 395 ლარი;
- ქუჩებისა და ჩიხების რეაბილიტაცია (2,5კმ) და არხების გაწმენდა, ღირებულება 173 395 ლარი;
- თენგიზ ჭიპაშვილის, გურამიშვილის, ელისო ჭიპაშვილის ქუჩების რეაბილიტაცია - (4, 2 კმ), ღირებულება 463 150 ლარი;
- გზის დამცავი კედლის მოწყობა თაბუკაშვილის ქუჩაზე - ღირებულება 104 999 ლარი;
- დაბაში საყრდენი კედლების მოწყობა - ღირებულება 99 749 ლარი.

### ბორითის ადმინისტრაციული ერთეული

- უბისა - ღორეშის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სოფელ უბისის საავტომობილო ხიდიდან სოფელ ღორეშის ადმინისტრაციულ ცენტრამდე - 5,5 კმ, ღირებულება 959 815 ლარი;
- ვაშლევის გზის რეაბილიტაცია (გაღმა ვაშლევი) – 1 კმ, ღირებულება 130 145 ლარი;
- საქასრიაში რკინის ხიდის უბანში გზის რეაბილიტაცია - 2,5 კმ, ღირებულება 175 439 ლარი;
- უბისაში, ძინძიბოურის უბანში, გზის რეაბილიტაცია - 1 კმ, ღირებულება 138 687 ლარი;
- ბორითში, გოჭოურის უბანში, გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 1,3 კმ, ღირებულება 131 687 ლარი;
- უბისაში, ჭალის უბანში, გზის რეაბილიტაცია და ნაპირსამაგრის მოწყობა (პირველი ეტაპი) – 1,5 კმ, ღირებულება 277 999 ლარი;
- მაქათუბანში ბოჟაძეების, გამცემლიძეებისა და გორგაძეების უბნების გზის რეაბილიტაცია - 2 კმ, ღირებულება 307 307 ლარი;
- ბორითში საუბნო გზების რეაბილიტაცია (გოჭოურის უბანი) – 0,45 კმ, ღირებულება 169 251 ლარი;
- მაქათუბანსა და ვაშლევში (პირველი უბნის, ტაძართან მისასვლელი) გზის რეაბილიტაცია - 2,5 კმ ღირებულება 422 988 ლარი;
- ბორითი - ღორეშის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 1,5 კმ, ღირებულება 453 726 ლარი;
- ერეთა-დინარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 2 კმ, ღირებულება 458 885 ლარი.

### ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეული

- ხარაგაული - ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია - 1 კმ, ღირებულება 600 000 ლარი;
- ხარაგაული - ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია ადმინისტრაციული ცენტრიდან სოფელ ღარიხევის გადასახვევამდე - 1,2 კმ, ღირებულება 230 249 ლარი;
- ღარიხევში გზის რეაბილიტაცია - 1,2 კმ, ღირებულება 63 109 ლარი;
- წიფში სასოფლო გზის რეაბილიტაცია - 2,5 კმ, ღირებულება 235 061 ლარი;
- ღარიხევში გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 1,2 კმ, ღირებულება 120 000 ლარი;
- ბაზალეთში, ნანიტაშვილების უბანში, გზის რეაბილიტაცია - 1.8 კმ, ღირებულება 197 777 ლარი;
- ბაზალეთში, ნანიტაშვილების უბანში, გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 0,7 კმ, ღირებულება 269 649 ლარი;
- ქროლში გზის რეაბილიტაცია - 1,2 კმ, ღირებულება 211 592 ლარი.

### ვარძიის ადმინისტრაციული ერთეული

- ვარძია - წყალაფორეთის გზის რეაბილიტაცია - 1,5 კმ, ღირებულება 457 487 ლარი;
- ვარძიის პირველი უბნის გზის რეაბილიტაცია - 1 კმ, ღირებულება 60 323 ლარი;
- ვარძიის გზის რეაბილიტაცია (მესამე უბანი) – 1 კმ, ღირებულება 116 763 ლარი;
- ვარძიის გზის რეაბილიტაცია - 1,5 კმ, ღირებულება 371 001 ლარი;
- ვარძიის გზის რეაბილიტაცია - 1,8 კმ, ღირებულება 371 011 ლარი.

### ვახანის ადმინისტრაციული ერთეული

- ვახანის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 2,5 კმ, ღირებულება 460 000 ლარი;
- ვახანის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 1,2 კმ, ღირებულება 134 612 ლარი;
- ვახანი-სერბაისის გზის რეაბილიტაცია-1,5 კმ, ღირებულება 80 148 ლარი;
- ზედუბანის გზის რეაბილიტაცია-2კმ, ღირებულება 460 000 ლარი.

### ზვარის ადმინისტრაციული ერთეული

- ზვარეში გზის რეაბილიტაცია-2კმ, ღირებულება 640 000 ლარი;
- ჩრდილში გზის რეაბილიტაცია - 2 კმ, ღირებულება 323 500 ლარი;
- ნუნისში გზის რეაბილიტაცია, ხიდიდან მონასტრამდე - 1 კმ, ღირებულება 311 444 ლარი.

### კიცხის ადმინისტრაციული ერთეული

- კიცხი - ხიდრის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 2,2 კმ, ღირებულება 373 395 ლარი;
- კიცხი - ხიდრის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 2 კმ, ღირებულება 683 698 ლარი;
- კიცხში მდინარაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია- 1,2 კმ, ღირებულება 345 500 ლარი;
- კიცხში ავალიშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია-1,4 კმ, ღირებულება 165 057 ლარი;
- თეთრაწყაროს გზის რეაბილიტაცია - 2,5 კმ, ღირებულება 199 829 ლარი;
- ბორის გზის რეაბილიტაცია - 2,5 კმ, ღირებულება 359 958 ლარი;
- საქარიქედის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 1,2 კმ, ღირებულება 173 775 ლარი;
- თეთრაწყაროს საუბნო გზების რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 0,8 კმ, ღირებულება 354 349 ლარი;
- თეთრაწყაროს საუბნო გზების რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) - 2კმ, ღირებულება 290 000 ლარი.

### ლაშის ადმინისტრაციული ერთეული

- ლაშის იგორეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 1 კმ, ღირებულება 260 000 ლარი;
- ღვერკში გზის რეაბილიტაცია - 1 კმ, ღირებულება 160 248 ლარი;
- ლაშეში (ზედა ლაშე) გზის რეაბილიტაცია - 2,5 კმ, ღირებულება 211 394 ლარი;
- ხემაღალში გზის რეაბილიტაცია - 1,2 კმ, ღირებულება 102 855 ლარი;
- ხემაღალში გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) - 2,5 კმ, ღირებულება 123 294 ლარი;
- ლაშეში საუბნო გზების რეაბილიტაცია (მანჯავიძეების, ცისკაძეებისა და მაჭავარიანების უბნები) – 2,5 კმ, ღირებულება 243 955 ლარი;
- ლაშის იგორეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 1 კმ, ღირებულება 234 500 ლარი;
- ხემაღალსა და ლაშეში (მანჯავიძეების უბანში) გზის რეაბილიტაცია - 2,5 კმ, ღირებულება 274 154 ლარი;







- უჩამეთში გზის რეაბილიტაცია - 1კმ, ღირებულება 131 036 ლარი;
- საქარიქედი-ლაშე-იგორეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 1კმ, ღირებულება 106 924 ლარი;
- ღვერკი-ხორითის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 1,5 კმ, ღირებულება 282 320 ლარი.

## ლეღვნის ადმინისტრაციული ერთეული

- ლეღვნის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 2,5 კმ, ღირებულება 788 131 ლარი;
- ლეღვან-მარელისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 1 კმ, ღირებულება 59 869 ლარი;
- მარელისში კაპნარი-კელასოურის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 1 კმ, ღირებულება 332 852 ლარი;
- ლეღვან-მარელისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 1,2 კმ, ღირებულება 138 685 ლარი;
- მარელისში ცისკაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) - 1,4 კმ, ღირებულება 280 000 ლარი.

## მოლითის ადმინისტრაციული ერთეული

- მოლითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 2 კმ, ღირებულება 165 948 ლარი;
- ქვების გზის რეაბილიტაცია - 1 კმ, ღირებულება 159 340 ლარი;
- დეისის გზის რეაბილიტაცია - 2,5 კმ, ღირებულება 531 937 ლარი;
- ნებოძირის გზის რეაბილიტაცია - 2,5 კმ, ღირებულება 165 948 ლარი;
- ბაზის გზის რეაბილიტაცია - 1 კმ, ღირებულება 109 664 ლარი;
- ქვების გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 1 კმ, ღირებულება 98 884 ლარი;
- დეისის მეორე უბნის გზის რეაბილიტაცია - 1 კმ, ღირებულება 72 740 ლარი.

## ნადაბურის ადმინისტრაციული ერთეული

- ნადაბურის გზის რეაბილიტაცია - 2,5 კმ, ღირებულება 578 498 ლარი.

## სარგვეშის ადმინისტრაციული ერთეული

- სარგვეშში სასოფლო გზის რეაბილიტაცია (ცისკაძეების უბანი) – 2,5 კმ, ღირებულება 366 824 ლარი;
- ხორითში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) - 2 კმ, ღირებულება 223 576 ლარი;
- საბე-სარგვეშის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 3,4 კმ, ღირებულება 620 000 ლარი.

## საღანძილის ადმინისტრაციული ერთეული

- ზარანში გზის რეაბილიტაცია - 1,5 კმ, ღირებულება 100 000 ლარი;
- ჩხერში გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 1,1 კმ, ღირებულება 300 027 ლარი;
- ვანი - სხლითის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 1,5 კმ, ღირებულება 300 000 ლარი;
- ჯაფაროულში გზის რეაბილიტაცია - 1,5 კმ, ღირებულება 250 729 ლარი;
- ვანი - ღუდუმექეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია- 1,5 კმ, ღირებულება 200 000 ლარი;
- ვანისა და ჩხერის გზების რეაბილიტაცია - 5 კმ, ღირებულება 958 875 ლარი;
- საღანძილეში გზის რეაბილიტაცია-1,3 კმ, ღირებულება 178 518 ლარი.

## ფარცხნალის ადმინისტრაციული ერთეული

- ხარაგაული - ფარცხნალის გზის რეაბილიტაცია- 2,1 კმ, ღირებულება 388 179 ლარი;
- ხარაგაული - ფარცხნალის გზის რეაბილიტაცია - 1,3 კმ, ღირებულება 230 000 ლარი;
- ახალსოფლის გზის რეაბილიტაცია - 2,5 კმ, ღირებულება 159 871 ლარი;
- ფარცხნალში აკადემიკოს ევგენი ხარაძის სახლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 1 კმ, ღირებულება 173 665 ლარი;
- ფარცხნალში ბარის უბნის გზის რეაბილიტაცია - 1 კმ, ღირებულება 123 473 ლარი;
- ფარცხნალში ბარის უბნის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)-300 მ, ღირებულება- 97 900 ლარი;

- ახალსოფლის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 1,8 კმ, ღირებულება 334 885 ლარი;
- ღუდუშექეთში გზის რეაბილიტაცია-2კმ, ღირებულება 245 479 ლარი;
- ისლარში გზის რეაბილიტაცია-2 კმ, ღირებულება 151 068 ლარი.

## ღორეშის ადმინისტრაციული ერთეული

- უბისა - ღორეშის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სოფელ უბისის საავტომობილო ხიდიდან სოფელ ღორეშის ადმინისტრაციულ ცენტრამდე - 5,5 კმ, ღირებულება 959 815 ლარი;
- ბორითი - მარიამწყარო - ღორეშის გზის რეაბილიტაცია - 2 კმ, ღირებულება 120 000 ლარი;
- კვადოურის გზის რეაბილიტაცია - 1,2 კმ, ღირებულება 165 366 ლარი.

## წიფის ადმინისტრაციული ერთეული

- გოლათუბნის სასოფლო გზის რეაბილიტაცია - 1,3 კმ, ღირებულება 168 120 ლარი;
- გოლათუბნის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 0,5 კმ, ღირებულება 52 854 ლარი.

## წყალაფორეთის ადმინისტრაციული ერთეული

- ლახუნდარის (ქვედა ლახუნდარა, ეკლესიის უბანი) ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 1,2 კმ, ღირებულება 192 945 ლარი;
- ლახუნდარის (ქვედა ლახუნდარა, ეკლესიის უბანი) ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) - 1,2 კმ, ღირებულება 176 642 ლარი;
- წყალაფორეთში საუბნო გზების რეაბილიტაცია - 1,5 კმ, ღირებულება 99 839 ლარი;
- ხონის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 2,5 კმ, ღირებულება 148 433 ლარი;
- ხონისა და ლახუნდარის გზების რეაბილიტაცია - 1,2 კმ, ღირებულება 388 800 ლარი.

## ხევის ადმინისტრაციული ერთეული

- წაქვაში გზის რეაბილიტაცია - 1,5 კმ, ღირებულება 249 097 ლარი;
- გრიგალათის გზის რეაბილიტაცია - 1,2 კმ, ღირებულება 284 010 ლარი.

## ხიდრის ადმინისტრაციული ერთეული

- ხიდარში სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 2,5 კმ, ღირებულება 63 141 ლარი;
- ხიდარში შარიქაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია - 2,5 კმ, ღირებულება 115 120 ლარი;
- ხიდარში ჯორტების საუბნო გზის რეაბილიტაცია - 1,3 კმ, ღირებულება 75 000 ლარი.

## ხუნევის ადმინისტრაციული ერთეული

- ხუნევში კალოს უბნის გზის რეაბილიტაცია - 1 კმ, ღირებულება 140 620 ლარი;
- ბჟინევში სასოფლო გზის რეაბილიტაცია - 2,5 კმ, ღირებულება 324 712 ლარი;
- ვერტყვიჭალაში სასოფლო გზის რეაბილიტაცია - 1,2 კმ, ღირებულება 124 803 ლარი;
- ვერტყვილაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (გოგიაშვილებისა და ეკლესიის უბნები) – 0,25 კმ, ღირებულება 66 989 ლარი.
- გედსამანიაში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 2,5 კმ, ღირებულება - 294 757 ლარი;
- ვერტყვილაში ბლიაძეებისა და გოგიაშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია-1,5 კმ, ღირებულება 151 068 ლარი.



# 2021 წელს ხარაგაულში გზების რეაბილიტაციისათვის რვა მილიონი ლარი დაიხარჯა



2021 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად რვა მილიონი ლარი დაიხარჯა. ძირითადად პრიორიტეტი კი ისეთ სოფლებს მიენიჭა, სადაც კეთილმოწყობილი გზები არასდროს ყოფილა და მოსახლეობას ურთულეს პირობებში უწევდა გადაადგილება.

ხარაგაულში 79 სოფელია, მათგან უმრავლესობაში ცენტრალური გზები რეაბილიტირებულია. ეტაპობრივად ხორციელდება საუბნო გზების მოწესრიგება.

**2021 წელს გზები რეაბილიტირდა:**

- ვარძიაში - საუბნო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 371 011 ლარი;
- მოლითში - ცენტრალური გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 283 115 ლარი;
- ჩხერში - ცენტრალური გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 31 458 ლარი;
- ბაზალეთში - საუბნო გზის რეაბილიტაცია (ჭიპაშვილების უბანი), პროექტის ღირებულება 196 404 ლარი;
- ვანი - ღუდუმექეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 108 649 ლარი;
- ქვებში - ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი), პროექტის ღირებულება 24 769 ლარი;
- წყალაფორეთში - ბაღისა და გაბეხაძეების უბნების გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 219 921 ლარი;
- ვერტყვილაში -საუბნო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 60 900 ლარი;
- ახალსოფელში - ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი), პროექტის ღირებულება 313 777 ლარი;
- ღარიხევში - საუბნო გზის რეაბილიტაცია (ხელიურის უბანი), პროექტის ღირებულება 191 528 ლარი;
- ბაზალეთში - საუბნო გზის რეაბილიტაცია (ნანიტაშვილების უბანი, მეორე ეტაპი), პროექტის ღირებულება 244 622 ლარი;
- მაქათუბანში - საუბნო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 220 000 ლარი;
- კიცხში - საუბნო გზების რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 147 775 ლარი;
- ერეთა - დინარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 358 885 ლარი;
- საქარიქედი (მუხების უბანი) ლაშის იგორეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 284 451 ლარი;
- მარელისში - ცისკაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი), პროექტის ღირებულება - 268 000 ლარი;
- ვანი - სხლითის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 271 420 ლარი;
- სარგვეშში - საუბნო გზის რეაბილიტაცია (ცისკაძეების უბანი), პროექტის ღირებულება 329 646 ლარი;





- ბორითში - საუბნო გზების რეაბილიტაცია (გოჭოურის უბანი), პროექტის ღირებულება 100 000 ლარი;
- თეთრაწყაროში - საუბნო გზების რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 306 904 ლარი;
- ბორითში - საუბნო გზების რეაბილიტაცია (გორგაძეებისა და ფაბრიკის უბნები), პროექტის ღირებულება 250 000 ლარი;
- ლელევანში - ეკლესიისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია (ქვიანთი), პროექტის ღირებულება 200 000 ლარი;
- ღორეშა-მარიამწყაროს გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 200 000 ლარი;
- ხევში - საუბნო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 112 541 ლარი;
- სარგვეშში - საუბნო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 97 300 ლარი;
- უბისაში - საუბნო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 118 900 ლარი;
- ლახუნდარაში - საუბნო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 108 500 ლარი;
- ვარძიაში - საუბნო გზის რეაბილიტაცია (მესამე უბანი), პროექტის ღირებულება 134 880 ლარი;
- ფარცხნალში - ბარის უბნის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი), პროექტის ღირებულება 97 900 ლარი.
- ბორითში - გორგაძეების საუბნო გზების რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 60 000 ლარი;
- ხიდარში - ზაზა გლუნჩაძის სახელობის საუბნო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 60 000 ლარი.

## 2022 წელს ხარაგაულის ოცდაცამეტ სოფელში საგზაო ინფრასტრუქტურა წესრიგდება

2022 წელს ხარაგაულს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად რეგიონული განვითარების ფონდიდან პირველ ეტაპზე 2 775 762 ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხით მუნიციპალიტეტში 19 პროექტი განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ ტენდერები სწრაფად გამოცხადდა და შემსრულებელ კომპანიებთან ხელშეკრულებები დროულად გაფორმდა. სწორედ ამიტომ, მუნიციპალიტეტმა ბონუსის სახით 50 000 ლარი მიიღო.





ამას დაემატა ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომია - 142 000 ლარი და აღნიშნული თანხებით დამატებით ორი პროექტი განხორციელდა.

პირველი ტრანშით დაფინანსებული 21 პროექტი უკვე დასრულებულია. აქედან წინსწრებით - 6 პროექტი, რომელიც ხელშეკრულების პირობების თანახმად, 2023 წელს უნდა დამთავრებულიყო.

მეორე ეტაპზე ხარაგაულის მერიამ რეგიონული განვითარების ფონდიდან 2 150 000 ლარი მიიღო, რომლის ფარგლებშიც 11 პროექტი დაფინანსდა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 500 000 ლარით განხორციელდა.

გარდა ამისა, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტს გზების რეაბილიტაციისათვის 235 444 ლარი გამოეყო.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროექტების განხორციელების მხრივ, საქართველოს მასშტაბით ხარაგაული ათ საუკეთესო მუნიციპალიტეტშია.

საერთო ჯამში, გზების რეაბილიტაციაზე 8 736 603 ათასი ლარი დაიხარჯება.

**საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა:**

- მიროწმინდაში - წმინდა ნიკოლოზის სახელობის უძველეს ტაძართან მისასვლელი გზა, პროექტის ღირებულება 234 444 ლარი;
- ბორითში - საუბნო გზა (გორგაძეებისა და ფაბრიკის უბნები), პროექტის ღირებულება 36 853 ლარი;
- ლელვანში - საუბნო გზა (ქვიანთის უბანი), პროექტის ღირებულება 50 077 ლარი;
- უბისაში - საუბნო გზა, პროექტის ღირებულება 63 018 ლარი;
- ლელვანში - საუბნო გზა (ქვიანთის უბანი, მეორე ეტაპი), პროექტის ღირებულება 178 700 ლარი;
- ღორეშა - მარიამწყაროს გზა, პროექტის ღირებულება 200 000 ლარი;
- მაქათუბანში - ორი საუბნო გზა (მეორე ეტაპი), პროექტის ღირებულება 200 000 ლარი;
- ღარიხევში - საუბნო გზა (ბრუისის უბანი ), პროექტის ღირებულება 150 000 ლარი;
- ბაზალეთში - საუბნო გზა (მესხების უბანი), პროექტის ღირებულება 75 000 ლარი;
- თეთრაწყაროში - საუბნო გზა (მეორე ეტაპი), პროექტის ღირებულება 270 639 ლარი;
- ფარცხნალში - ბარის უბნის გზა (მესამე ეტაპი), პროექტის ღირებულება 150 000 ლარი;
- ვახანში - საუბნო გზა (ინასარიძეების უბანი), პროექტის ღირებულება 200 000 ლარი;
- კიცხში - საუბნო გზა (ბერაძეებისა და ზვიადაძეების უბანი), პროექტის ღირებულება 229 326 ლარი;
- უჩამეთში - საუბნო გზა (მესერიძეების უბანი), პროექტის ღირებულება 150 000 ლარი;
- ლაშეში - საუბნო გზა (ცქიტიშვილების უბანი), პროექტის ღირებულება 75 000 ლარი;
- ხევში - საუბნო გზა, პროექტის ღირებულება 130 085 ლარი;
- ვერტყვიჭალაში - საუბნო გზა (გოგიაშვილების უბანი), პროექტის ღირებულება 142 783 ლარი;
- მაქათუბანში - საუბნო გზა (წიქარიშვილების უბანი), პროექტის ღირებულება 109 234 ლარი;
- ქროლში - საუბნო გზა, პროექტის ღირებულება 100 000 ლარი;
- ახალსოფელში - ცენტრალური გზა (მესამე ეტაპი), პროექტის ღირებულება 265 047 ლარი;
- ნადაბურში - ცენტრალური გზა (მეორე ეტაპი), პროექტის ღირებულება 192 708 ლარი;
- ვახანში - საუბნო გზა (ინასარიძეების უბანი), პროექტის ღირებულება 287 000 ლარი;
- ვახანში - საუბნო გზის რეაბილიტაცია (არევაძეების უბანი), პროექტის ღირებულება 91 703 ლარი.

**ამ ეტაპზე მიმდინარეობს და წლის ბოლომდე დასრულდება:**

- მაქათუბნის საუბნო გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი), პროექტის ღირებულება 381 586 ლარი;
- კიცხის საუბნო გზის რეაბილიტაცია (ბერაძეებისა და ზვიადაძეების უბანი, მეორე ეტაპი), პროექტის ღირებულება 257 976 ლარი;



- ვანის საუბნო გზის რეაბილიტაცია (ჩხაკოურის უბანი), პროექტის ღირებულება 238 315 ლარი;
- ვარძიის საუბნო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 200 000 ლარი;
- ღორეშის საუბნო გზის რეაბილიტაცია (იჩქიტიძეების უბანი), პროექტის ღირებულება 250 022 ლარი;
- ხიდრის საუბნო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 287 962 ლარი;
- უჩამეთის საუბნო გზის რეაბილიტაცია (მესირიძეების უბანი, მეორე ეტაპი), პროექტის ღირებულება 157 139 ლარი;
- ხორითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 200 000 ლარი;
- წყალაფორეთის საუბნო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 200 000 ლარი;
- ნებოძირის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 240 000 ლარი;
- დეისის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი), პროექტის ღირებულება 237 000 ლარი.

**ახლო მომავალში დაგეგმილი პროექტები:**

სოფელ ბორითში დაგეგმილია თანამედროვე სტანდარტების სახანძრო - სამაშველო და საპატრულო პოლიციის ახალი შენობის აგება, რომელიც არა მარტო ხარაგაულში მცხოვრებ მოსახლეობას მოემსახურება, არამედ მთლიანად რეგიონს და ამავდროულად გაჩნდება მოსახლეობის დასაქმების ახალი შესაძლებლობა. უკვე გამოყოფილია მიწის ნაკვეთი და მიმდინარეობს პროექტირება.

- ხევი-უბისის მონაკვეთზე ავტობანის მშენებლობის გამო, დღის წესრიგში დგას ბორითსა და ხევში ახალი საბავშვო ბაღების აშენება;
- სამუშაოები მიმდინარეობს ხევში ახალი საექიმო ამბულატორიის მშენებლობისათვის;
- რამდენიმე სოფელში დაგეგმილია ჭაბურღილების მოწყობა, წყლის სათავე-ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- დამატებით რამდენიმე სოფელში განხორციელდება საუბნო გზების მობეტონება;
- იგეგმება მრავალსართულიანი ბინების რეაბილიტაცია.

## კიცხი-ზესტაფონის დამაკავშირებელ გზას რეაბილიტაცია ჩაუტარდა

ზესტაფონი-კიცხი-ხარაგაულის საავტომობილო გზას სრული კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა. პროექტის განსახორციელებლად 14 288 888 ათასი ლარი დაიხარჯა.
საერთო ჯამში, ბეტონის საფარი 21-კილომეტრიან მონაკვეთზე დაიგო.





## დაბა ხარაგაულში ცენტრალურ ქუჩაზე ასფალტის საფარი დაიგო



ხარაგაულის ცენტრალურ ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა.

პროექტის თანახმად, 1600-მეტრიან მონაკვეთზე ასფალტის საფარი დაიგო.

დაბის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განახორციელა.

სამუშაოებზე 1 900 600 ლარი დაიხარჯა.



# მაღალმთიან დასახლებებში საგზაო ინფრასტრუქტურა ეტაპობრივად ეწყობა



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურა ეტაპობრივად წესრიგდება. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დიდი ყურადღება ექცევა მაღალმთიან დასახლებებს და ყველაფერი მაქსიმალურად კეთდება იმისათვის, რომ მოსახლეობა სოფლად დამაგრდეს.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ხარაგაულის 11 სოფელს აქვს მინიჭებული, რომელთა უმრავლესობაში საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია.



**გზები რეაბილიტირდა შემდეგ სოფლებში:**

- გოლათუბანში - პროექტის ღირებულება 170 274 ლარი, განხორციელების პერიოდი - 2017 წელი;
- ბჟინევში - პროექტის ღირებულება 324 712 ლარი, განხორციელების პერიოდი - 2018 წელი;
- წიფაში - პროექტის ღირებულება 223 000 ლარი, განხორციელების პერიოდი - 2019 წელი;
- გედსამანიაში - პროექტის ღირებულება 300 000 ლარი, განხორციელების პერიოდი - 2021 წელი;
- ზვარეში - პროექტის ღირებულება 350 000 ლარი, განხორციელების პერიოდი 2021 წელი;
- ჩრდილში (ტალახაძეების უბანი) - პროექტის ღირებულება 300 000 ლარი, განხორციელების პერიოდი - 2022 წელი;
- ჩრდილში (გოგნაძეების უბანი) - პროექტის ღირებულება 181 512 ლარი, განხორციელების პერიოდი - 2022 წელი.

# ღორეშა-სარგვეში-ბაზალეთის გზა რეაბილიტირდა



ღორეშა-ბაზალეთის დამაკავშირებელ გზას სრული კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა. მოსახლეობა ხარაგაული - ბაზალეთი - სარგვეში- ღორეშა - უბისის გავლით თბილისი- სენაკი ლესელიძის საერთაშორისო ავტომაგისტრალს ახლად რეაბილიტირებული გზით უკავშირდება. ეს არის ერთ-ერთი მასშტაბური პროექტი, რომელიც ამ ხეობის მცხოვრებთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

2013-2016 წ.წ. ბაზალეთამდე დაიგო ასფალტი, უბისიდან ღორეშამდე - ბეტონის საფარი. დარჩენილი შუალედური 11 - კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია 2021 წლის მაისში დასრულდა.

აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად 8 730 100 ლარი დაიხარჯა.

პროექტის ფარგლებში გზის მიმდებარედ მოეწყო მოსაცდელები. ასევე მდინარე ყარნებაზე გაკეთდა ახალი სახიდე გადასასვლელი.

ღორეშა-სარგვეში-ბაზალეთის გზა ერთმანეთთან ხუთ ადმინისტრაციულ ერთეულს აკავშირებს.

## ძირულა-ხარაგაული-ფონა-ჩუმათელეთის გზის პროექტი

საუკუნის პროექტად წოდებულ შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-ფონა-ჩუმათელეთის გზის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია.



ამ ეტაპზე გზის მოასფალტება ძირულა-ხარაგაულის მონაკვეთზე თითქმის დასრულებულია. დარჩენილია რამდენიმე მონაკვეთი, რომელზეც სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

რაც შეეხება ხარაგაული-მოლითი-ფონის მხარეს, სამუშაოები 2023 წელს დაიწყება.

ძირულა-ხარაგაული-ფონა-ჩუმათელეთის გზის მშენებლობაზე 137 მილიონ ლარზე მეტი იხარჯება და საერთო ჯამში, 50 კმ-იანი მონაკვეთი რეაბილიტირდება.

## ხევი-უბისის მონაკვეთზე ავტობანის მშენებლობა მიმდინარეობს

რიკოთის საუღელტეხილო გზის მოდერნიზება არის უმსხვილესი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის მშენებლობა ყოველდღიურ რეჟიმში ინტენსიურად მიმდინარეობს.



პროექტის ფარგლებში ხევი-უბისის მონაკვეთზე სულ 12.2 კმ-იანი ცემენტო-ბეტონის 4 -ზოლიანი გზა, 37 ხიდი და 20 გვირაბი აშენდება. სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა.

პროექტი სირთულისა და სამუშაოების მასშტაბით უპრეცედენტოა საქართველოში.

საერთო ჯამში, დაგეგმილია 51.6 კმ-მდე სიგრძის გზის მშენებლობა, რომელიც 96 ხიდსა და 53 გვირაბს მოიცავს. რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის მშენებლობა 4 სექციად არის დაყოფილი: ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთი (I სექცია) 11.7 კმ, ხევი-უბისის მონაკვეთი (II სექცია) 12,2 კმ, უბისა-შორაპნის მონაკვეთი (III სექცია) 13 კმ. შორაპანი-არგვეთას მონაკვეთი (IV სექცია) 14,7კმ.



ავტობანის მშენებლობა 2023-2024 წ.წ. ეტაპობრივად დასრულდება.

## ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში ხიდები აშენდა, რამდენიმე მათგანს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა. 2013-2022 წლებში ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის 3 715 294 ლარი დაიხარჯა.

სამუშაოები განხორციელდა:

- მაქათუბანში - საავტომობილო ხიდის მშენებლობა, ღირებულება 149 000 ლარი;
- საღანძილეში - სტიქიისგან დაზიანებული ხიდების რეაბილიტაცია (აშენდა ახალი ხიდი და 3 წყალგამტარი), ღირებულება 55 000 ლარი;
- ღორეშა - სარგვეშისა და ხუნევის ადმინისტრაციულ ერთეულებში- სტიქიისგან დაზიანებული ხიდების აღდგენა (აშენდა 3 ხიდი), ღირებულება 93 459 ლარი;
- ნადაბურში - სტიქიისგან დაზიანებული ხიდების რეაბილიტაცია (მოეწყო 4 ახალი ხიდი), ღირებულება 60 000 ლარი;
- ბორითსა და ხუნევში - სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების რეაბილიტაცია, ღირებულება 48 767 ლარი;
- ზვარესა და წიფაში - სტიქიისგან დაზიანებული ხიდების აღდგენა, ღირებულება 35 606 ლარი;
- ლეღვანში-სკოლისკენ მიმავალი გზისა და ხიდის რეაბილიტაცია (აშენდა ახალი ხიდი), ღირებულება 666 581 ლარი;
- ლაშეში - ხიდის მშენებლობა (აშენდა ახალი ხიდი), ღირებულება 565 836 ლარი;


ახალი აშენებული ხიდი სოფელ ლაშეში

- ლეღვანში - კიბაბოურის უბანში ხიდის მშენებლობა, ღირებულება 368 082 ლარი. ასევე კიბაბოურის უბანში მოეწყობა ახალი სახიდე გადასასვლელი, ღირებულება 349 000 ლარი; გარდა ამისა, ცენტრალურ გზაზე გაკეთდა გაბიონები, ღირებულება 147445 ლარი;
- ბორითში - სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების/ხიდბოგირებისა და არხების აღდგენა/მშენებლობა, ღირებულება 177 400 ლარი;
- მარელისში, დეისსა და ანეულაში - სტიქიისგან დაზიანებული ხიდების აღდგენა/მშენებლობა-რეაბილიტაცია, ღირებულება 81 920 ლარი;
- მარელისსა და ლაშეში - სტიქიისგან დაზიანებული ხიდების აღდგენა/მშენებლობა-რეაბილიტაცია, ღირებულება 55 239 ლარი;
- ბაზალეთსა და სარგვეშში - სტიქიისგან დაზიანებული ხიდების აღდგენა/მშენებლობა-რეაბილიტაცია, ღირებულება 57 404 ლარი;
- დაბა ხარაგაულში - ბაზრის ტერიტორიაზე აშენდა გზის ნაპირდამცავი კედელი, ღირებულება 439 439 ლარი;
- მარელისში-სტიქიისგან დაზიანებული ხიდის მშენებლობა, ღირებულება 100 000 ლარი.

***

მიმდინარე წელს სტიქიის ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 1 000 000 ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხიდან 750 000 ლარი კიცხი-ხიდრის დამაკავშირებელი გზის აღდგენისათვის მიიმართა. 250 000 ლარი- ლეღვანში კოდაბოლოს უბანში ხიდის მშენებლობისათვის. კიცხი-ხიდრის გზაზე სამუშაოები დასრულების ეტაპზეა. რაც შეეხება ლეღვანს, ხიდის მშენებლობა დასრულდა.

## „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული პროექტები


სოფელი მარელისი, რეაბილიტირებული სარიტუალო დარბაზი

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. მოსახლეობის უშუალო ჩართულობითა და მათივე გადაწყვეტილებით, აღნიშნული თანხები ძირითადად მცირე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე მიიმართა.

- ხარაგაულის მასშტაბით პროგრამის ფარგლებში 2013 წელს 201 პროექტი განხორციელდა, რისთვისაც 752 531 ლარი დაიხარჯა.
- 2014 წელს-188 პროექტი, ღირებულება 720 044 ლარი;
- 2015 წელს-115 პროექტი, ღირებულება 667 473 ლარი;
- 2016 წელს - 187 პროექტი, ღირებულება 603 785 ლარი;

2019 წელს - 148 პროექტი, მათ შორის: 45 დასახლებაში გზის რეაბილიტაცია; გარე განათების სისტემის მოწყობა - 16 პროექტი; წყლის სისტემების მოწყობა - 31 პროექტი; სარიტუალო დარბაზების აშენება-12 პროექტი; სხვადასხვა კატეგორია - 44 პროექტი; საერთო ჯამში, 890 000 ლარი დაიხარჯა.

2020 წელი-140 პროექტი, მათ შორის: 48 დასახლებაში გზის რეაბილიტაცია; გარე განათების ქსელის მოწყობა - 32 პროექტი; წყლის სისტემების მოწყობა - 35 პროექტი; სხვადასხვა კატეგორია - 31 პროექტი; საერთო ჯამში, 890 000 ლარი დაიხარჯა.

2021 წელი-140 პროექტი, მათ შორის: 58 დასახლებაში გზის რეაბილიტაცია; გარე განათების სისტემის მოწყობა - 32 პროექტი; სასმელი წყლის სისტემის მოწყობა - 41 პროექტი; სხვადასხვა კატეგორია - 19 პროექტი; საერთო ჯამში, პროგრამის ფარგლებში ცენტრალური ბიუჯეტიდან 890 000 ლარი დაიხარჯა, ხარაგაულის მერიიდან თანადაფინანსების სახით - 193 000 ლარი.

2022 წელი - 171 პროექტი, მათ შორის: 61 დასახლებაში გზების რეაბილიტაცია, გარე განათების სისტემის მოწყობა - 12 პროექტი; სასმელი წყლის სისტემის მოწყობა - 35 პროექტი; 20 დასახლებაში სასაფლაოს შემოღობვა; ხიდების რეაბილიტაცია - 10 პროექტი; სხვადასხვა კატეგორიის - 33 პროექტი. საერთო ჯამში, პროგრამის ფარგლებში ცენტრალური ბიუჯეტიდან 890 000 ლარი დაიხარჯა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით - 330 531 ლარი.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გასაკეთებელი პროექტების უმრავლესობა დასრულებულია და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მხრივ, ხარაგაული საუკეთესო მუნიციპალიტეტების ათეულშია.



## ხარაგაულის ცენტრალურ პარკს რეაბილიტაცია უტარდება



ასეთი იქნება რეაბილიტირებული პარკი

დაბა ხარაგაულში კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს. პროექტი „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდა და საერთო ჯამში, 1 460 942 ლარი დაიხარჯება. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად პარკის რეაბილიტაცია წლის ბოლომდე დასრულდება.

საპროექტო სამუშაოები ითვალისწინებს საბავშვო ატრაქციონების, საფეხმავლო ბილიკების, გარე განათებების, ასევე სხვადასხვა ტიპის სპორტულ, კულტურულ და რეკრეაციული სივრცის მოწყობას. პარკის მთელ ტერიტორიაზე ჩატარდება გამწვანებითი სამუშაოები და აშენდება მცირე ზომის კაფე.

***

გარდა ცენტრალური პარკისა, 2012-2022 წლებში განხორციელდა დაბაში მდებარე სკვერების რეაბილიტაცია. აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად 337 556 ლარი მიიმართა. ასევე მოეწყო მინისტადიონი, რომლისთვისაც 247 505 ლარი დაიხარჯა.

## მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია



დიდვაკის რეაბილიტირებული ბინები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია განხორციელდა. გადაიხურა და შეკეთდა დაზიანებული სახურავები, მოეწყო გარე ფასადები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა კიბეებს. საერთო ჯამში, 2012-2022 წლებში ამ მიმართულებით 730 800 ლარი დაიხარჯა.

2012-2022 წლებში მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია განხორციელდა:

დიდვაკეში - რეაბილიტირდა სახლის აივნები და მოწესრიგდა კიბეები;

დაბაში-სოლომონ მეფის ქუჩაზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა მრავალბინიან სახლს;

დაბაში-სოლომონ მეფის ქუჩა N90-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე მოწესრიგდა გარე ფასადი.

## „დევების" ქანდაკებებსა და მიმდებარე სკვერს რეაბილიტაცია ჩაუტარდა



ხარაგაულში ე. წ. „დევების" ტერიტორიაზე ახალი რეკრეაციული ზონა შეიქმნა. სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 264 999 ლარი დაიხარჯა. პროექტი „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის" ფარგლებში დაფინანსდა. საპროექტო დოკუმენტაცია ითვალისწინებდა ახალი ლამპიონების, საპარკინგე ადგილის, ხელნაკეთობებისათვის სავაჭრო სივრცის, საინფორმაციო დაფისა და სკვერის კეთილმოწყობას.

## ხარაგაულში წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემა მოეწყო



ხარაგაულის მუნიციპალიტეტში წყალარინების (კანალიზაციის) სისტემა მოეწყო.

სამუშაოებზე 1 890 360 ლარი დაიხარჯა.

პროექტის ფარგლებში გაკეთდა სრულიად ახალი საკანალიზაციო სისტემა, კოლექტორები და კანალიზაციის ჭები.

ხარაგაულში წყალარინების (კანალიზაციის) ქსელი გასული საუკუნის 60-იან წლებში იყო აშენებული და მას შემდეგ რეაბილიტაცია არ ჩატარებია.

# დაბა ხარაგაულის მოსახლეობა უწყვეტი წყალმომარაგებით სარგებლობს




რამდენიმე თვეა დაბა ხარაგაულის მოსახლეობა 24-საათიანი წყალმომარაგებით სარგებლობს. ამ დრომდე წყალი ადგილობრივებს გრაფიკით მიეწოდებოდა, რაც უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა.

დაბის უწყვეტი წყალმომარაგების მიზნით, სამუშაოების განხორციელება 2020 წელს დაიწყო. პროექ-ტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ლეღვნის სათავე-ნაგებობიდან შემომავალ 14-კილომეტრიან მაგისტრალს.

სამუშაოები ითვალისწინებდა წყალმომარაგების ქსელების, მაგისტრალების, ორი ახალი ავზის, ჭა-ბურღილების, სათავე-ნაგებობებისა და სატუმბი სადგურის მშენებლობას. კორპუსებში ასევე მოეწყო შიდა გაყვანილობა და გამრიცხველიანება.

ამჟერად დაბის 4 000-მდე ოჯახს ხარისხიანი და სტაბილური წყალმომარაგება აქვს.

ხარაგაულის 24-საათიანი წყალმომარაგებისათვის 5 მილიონი ლარი დაიხარჯა.

გარდა ამისა, 2015 წელს დაბა ხარაგაულში საავადმყოფოსა და მის მიმდებარე ქუჩებზე (დევდარი-ანის, გურამიშვილისა და ჭიპაშვილის ქუჩები) მოეწყო წყალმომარაგების სისტემა, რისი საშუალებითაც პატარა ხარაგაულის მოსახლეობას წყალი უწყვეტად მიეწოდება. პროექტის ღირებულება 173 890 ლარია.

**ასევე ჭაბურღილები მოეწყო:**

- ქროლში - პროექტის ღირებულება 27 000 ლარი;
- წყალაფორეთში - პროექტის ღირებულება 16 000 ლარი;
- საქარიქედზე - პროექტის ღირებულება 16 000 ლარი;
- თეთრაწყაროში - პროექტის ღირებულება 12 000 ლარი;
- პატარა ვარძიაში - პროექტის ღირებულება 19 109 ლარი;
- ვარძიაში - პროექტის ღირებულება 24 959 ლარი;

- ლახუნდარაში - პროექტის ღირებულება 23 000 ლარი;
- ზედუბანში - პროექტის ღირებულება 19 109 ლარი.

პარალელურად ყოველ წელს ხორციელდება სასმელი წყლის სისტემის მოსაწყობად მასალების შეძენა და სოფლის მოსახლეობისათვის გადაცემა, ასევე წყლის სათავე-ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია. ამ მიმართულებით ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ბოლო ათი წლის განმავლობაში მილიონ-ნახევარი ლარი დაიხარჯა.

**ამ ეტაპზე ჭაბურღილების მშენებლობა მიმდინარეობს:**
- ბაზალეთში - პროექტის ღირებულება 23 280 ლარი;
- ვარძიაში - პროექტის ღირებულება 25 520 ლარი;
- ფარცხნალში - პროექტის ღირებულება 21 622 ლარი;
- ხონში - პროექტის ღირებულება 16 698 ლარი.

## ბუნებრივი აირით ხარაგაულის ცხრა სოფელი სარგებლობს



2013 წლამდე ხარაგაულში ბუნებრივი აირი მხოლოდ დაბის მოსახლეობას მიეწოდებოდა. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში კი მუნიციპალიტეტის ცხრა სოფელი გაზიფიცირდა. ამჟერად ბუნებრივი აირით ბაზალეთი, ჩხერი, ჯაფაროული, თეთრაწყარო, ისლარი, ახალსოფელი, ფარცხნალი, საქარიქედი, ლაშე და კიცხი სარგებლობს.

გაზის მაგისტრალის მოწყობა დასრულებულია ვარძიაში, სადაც ბუნებრივი აირი უახლოეს პერიოდში ჩაირთვება.

რაც შეეხება სხვა სოფლებს, გაზიფიცირებისათვის საჭირო სამუშაოები ეტაპობრივად ყველგან განხორციელდება. 2022 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ღარიხევის, ქროლისა და წიფის გაზიფიცირება. აღნიშნულ სოფლებში სამუშაოების განხორციელების მიზნით ტენდერი უკვე გამოცხადდა.



საერთო ჯამში, 2013-2022 წ.წ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი აირი 3200-მდე აბონენტს ჩაერთო. აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად ათი მილიონი ლარი დაიხარჯა.

## ხარაგაულის მოსახლეობას მუნიციპალური ტრანსპორტი ემსახურება

მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნითა და მგზავრობის შეღავათიანი ტარიფების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ხარაგაულის მერიას 17 სამარშუტო სვლაგეზზე აქვს განხორციელებული შესყიდვა.

2012 წლამდე მუნიციპალური ტრანსპორტი არცერთ სოფელს არ ემსახურებოდა. ახლა კი ტრანსპორტი შემდეგი მიმართულებით მოძრაობს:

ხარაგაული-თეთრაწყარო;
ხარაგაული-იცხი;
ხარაგაული-ქროლი;
ხარაგაული-ბაზალეთი-სარგვეში-უბისა-ღორეშა;
ხარაგაული-ხევი-ნადაბური;
ხარაგაული-ფარცხნალი;
ხარაგაული-საღანძილე-დიდვაკე-სადგური მარელისი-ბაზი-მოლითი-ზვარე;
ვახანი-ვახანის წყალი.

2013-2022 წლებში, ხარაგაულის მერიამ მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურებისათვის -115 472 ლარი დახარჯა.

# ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები



ხარაგაულის მერია აქტიურ პოლიტიკას ატარებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით. სწორედ ამ მიზნით მერიაში მოქმედებს 22 ქვეპროგრამა და დახმარებები იცემა სამედიცინო კვლევების, ოპერაციებისა და ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ. გარდა ამისა, უკიდურესად შეჭირვებული ოჯახები სარგებლობენ ერთჯერადი ფინანსური დახმარებით. ასევე დახმარება ეწევათ შშმ პირებს, ომის ვეტერანებს, უსინათლოებს, დიალიზზე მყოფ პაციენტებს, მარტოხელა მშობლებს, მრავალშვილიან, ახალშობილთა და მარჩენალდაკარგულთა ოჯახებს. სადღესასწაულო დღეებში სისტემატურად იცემა ფულადი შემწეობა სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფზე. მნიშვნელოვანია, რომ მერია ეხმარება სტიქიური მოვლენებითა და ხანძრით დაზარალებულ ოჯახებს. ხარაგაულის მერია აფინანსებს ასევე „სათნოების სახლის" ბენეფიციართა კვებას. „სათნოების სახლის" ბაზაზე ამოქმედდა შინ მოვლისა და პერსონალური ასისტენტის პროგრამა. პროექტს არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაბიჯი ხარაგაული" ახორციელებს და თანადაფინანსებას უწევს ხარაგაულის მერია.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2012 წლიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს ახალი, თანამედროვე, კომფორტული ეტლები უფასოდ გადაეცემათ. სოციალური აქცია ხარაგაულის მერიისა და საერთაშორისო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის" მხარდაჭერით ხორციელდება.

გარდა ამისა, მერიასა და „თაირისის" ერთობლივი ძალებით მუნიციპალიტეტში ხორციელდება პროექტი - „პარტნიორობა ჩართულობითი პოლიტიკის შესაქმნელად", რომლის მიზანი ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობაა.

ხარაგაულის მერიაში სოციალურ სფეროს მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი კურირებს. მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი ყველა განცხადება კომისიურ ფორმატში იხილება. კომისიის საქმიანობაში ჩართულნი არიან სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები, რათა მიღებული გადაწყვეტილებები იყოს ობიექტური და გამჭვირვალე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია არაერთ მნიშვნელოვან სოციალურ პროგრამას ახორციელებს და ძირითადი აქცენტი იმ პრობლემური საკითხების მოგვარებაზე კეთდება, რომლებიც მოსახლეობას ყველაზე მეტად აწუხებს.

საერთო ჯამში, 2013 წლიდან დღემდე ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებზე ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 11 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

- 2013 წელი-554 700 ლარი;
- 2014 წელი-818 300 ლარი;
- 2015 წელი-651 700 ლარი;
- 2016 წელი-644 700 ლარი;
- 2017 წელი-625 000 ლარი;
- 2018 წელი-666 100 ლარი;
- 2019 წელი-800 7000 ლარი;
- 2020 წელი-1 003 800 ლარი;
- 2021 წელი-1 119 500 ლარი;
- 2022 წელს ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით გათვალისწინებულია 1538 900 ლარი. ამჯერად გაცემულია 1 173 800 ლარი.

გარდა ამისა, 2012 წლის შემდეგ 4-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება და 2013 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებით ჯანდაცვის სერვისები ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სისტემატურად სარგებლობენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა. მათ უფინანსდებათ როგორც საოპერაციო, ასევე სამკურნალო ხარჯები. აღსანიშნავია ისიც, რომ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 16 ეკომიგრანტ ოჯახს საცხოვრებელი სახლი შეუძინა.



უკიდურესად შეჭირვებული ოჯახები იღებენ სოციალურ შემწეობას. გაიზარდა პენსიები, რომლის მატება ასევე ეტაპობრივად კვლავ გაგრძელდება. პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, ინიციატივით დაწყებული პროგრამის ფარგლებში, 1 170 სოციალურად დაუცველი პირი დასაქმდა.

# კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული მიმართულება

ხარაგაულში კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა.



2015 წელს სრული კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა შენობას, სადაც ცენტრალური ბიბლიოთეკა განთავსდა. სამუშაოებზე 83 950 ლარი დაიხარჯა. ბიბლიოთეკა აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით, განახლდა წიგნების ფონდი. ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა სამუსიკო სკოლასა და კულტურის ცენტრს.

დაბაში ფუნქციონირებს თანამედროვე ტიპის კინო-თეატრი. სისტემატურად ხორციელდება სკვერებისა და პარკების მოწესრიგება.

ყველაზე უმთავრესი კი ისაა, რომ ხარაგაულის კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს ჰყავს საკმაოდ წარმატებული და გამორჩენილი მოღვაწეები. ხარაგაულში რამდენიმე თეატრი ფუნქციონირებს, ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი (რეჟისორი ირინე ჩხეიძე), რომელიც 120 წლისაა. ამ წლების განმავლობაში თეატრმა არაერთ წარმატებას მიაღწია და მოპოვებული აქვს რამდენიმე საერთაშორისო ჯილდო. თეატრი ყოველ წელს მაყურებლებს ახალ სპექტაკლს სთავაზობს.

რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი 1995 წელს შეიქმნა. თეატრის დამაარსებელი გახლავთ იზა ვეფხვაძე, რომელიც პოპულარიზაციას უწევს ხელოვნებას, მეცნიერებასა და დიდ მამულიშვილთა ღვაწლის წარმოჩენას. თეატრს განხორციელებული აქვს არაერთი მასშტაბური პროექტი.

უკვე შვიდი წელია, ხარაგაულში იმართება სამხატვრო პლენერი „გამა“, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მხატვრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ხუთწლიანი პაუზის შემდეგ წელს ასევე ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი ,,ოდეონი“, რომელსაც 12 წლიანი ისტორია აქვს.

ხარაგაულში გვაქვს თოჯინების თეატრი, რომლის რეჟისორი ირინე ჩხეიძეა. თეატრი ემსახურება მომავალი თაობის ესტეთიკურ აღზრდას.

მოსწავლე-ახალგაზრდობისა და სამუსიკო სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს სხვადასხვა კულტურული და შემეცნებითი წრე. ასევე მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ორი ქორეოგრაფიული ანსამბლი „უბისი“ და „მთიელი“. აღნიშნული წრეები ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და ბავშვები სწავლობენ უფასოდ.

მიმდინარე წელს „ხარაგაულის ხმებმა“, ვარინკობის ფესტივალზე პირველი ადგილი დაიკავა. ვარინკა წერეთილის საპატიო პრიზი მიიღო ანსამბლმა „ოდილამ“.

2015 წელს ხარაგაულის მერიის ძალისხმევით, კინოთეატრის წინ დაიდგა რეზო თაბუკაშვილის სახელობის ბიუსტი.

უახლოეს პერიოდში 9 აპრილის სკვერში განთავსდება კიტა ბუაჩიძის ბიუსტი.

ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია სპორტის განვითარება და წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა.

სულ ახლახან ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ ბაზაზე ჩამოყალიბდა რაგბის წრე, რომელსაც რაგბის კავშირის წარმომადგენელი ხელმძღვანელებს.

დაბა ხარაგაულში განხორციელდა საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაცია. ასევე მოეწყო ახალი საკალათბურთო მოედანი. აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად 247 505 ლარი დაიხარჯა.

სულ მალე სოფელ უბისაში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი მოეწყობა. სამუშაოების განსახორციელებლად 198 700 ლარი დაიხარჯება.

მუნიციპალიტეტში გვყავს ისეთი სპორტსმენები, რომლებმაც არაერთგზის ასახელეს ხარაგაული. მათ წარმატება მოიპოვეს არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ.



ხარაგაული ყოველთვის გამოირჩეოდა მრავალფეროვანი კულტურული ცხოვრებითა და დიდი ისტორიული წარსულით. სასიამოვნოა, რომ ეს ტრადიციები კვლავ გრძელდება.

2012-2022 წლებში ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის 15 823 000 ლარი დაიხარჯა.

# ხარაგაული საუკეთესო პრაქტიკის მქონე მუნიციპალიტეტი ორჯერ გახდა

მიმდინარე წელს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ ევროკავშირის პროექტის ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკის მქონე მუნიციპალიტეტები გამოავლინა. სასიხარულოა, რომ ხარაგაული საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში გამარჯვებულ 12 მუნიციპალიტეტს შორის დასახელდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხარაგაული უკვე მეორედ არის ამ კონკურსის გამარჯვებული.

2014 წელს, კობა ლურსმანაშვილის გამგებლობის პერიოდში, მუნიციპალიტეტმა ჯილდო „მყარი ნარჩენების მართვისთვის“ მიიღო. 2021 წელს კი - საპილოტე პროექტის „მონაწილეობითი ბიუჯეტისთვის.“



# ხარაგაულის მუნიციპალიტეტი იაპონიის საელჩოს საგრანტო პროექტის გამარჯვებულია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი იაპონიის საელჩოს-„ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის“-გამარჯვებული გახდა.

ჩვენთვის საამაყოა, რომ ხარაგაულის მერიამ მაღალი კონკურენციის პირობებში შეძლო დაფინანსების მოპოვება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხარაგაულის მერიას გრანტი არასდროს მიუღია და მისასალმებელია, რომ ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა.

საპროექტო განაცხადი მუნიციპალიტეტის მერმა, კობა ლურსმანაშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, ა(ა) იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ დირექტორმა, ეკა შავიძემ და მერის თანაშემწემ, ჟანა ნემსაძემ, მოამზადეს.

გრანტის ფარგლებში ხარაგაულის მერია 61 864 დოლარს მიიღებს და აღნიშნული თანხით ახალი ექსკავატორ-დამტვირთველის (JCB ტრაქტორი) შეძენა მოხდება.

სპეც-ტექნიკით შიდა საუბნო გზების მოწესრიგება, თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა, ინერტული მასალების გატანა და სხვადასხვა სამუშაოების განხორციელება იქნება შესაძლებელი.

შეგახსენებთ, რომ იაპონიის საელჩოს საგრანტო პროგრამა დახმარებას უწევს შედარებით მცირემასშტაბიან პროექტებს და ხორციელდება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა საზოგადოებრივი ჯანდაცვა, განათლება, სოციალური დაცვა, სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა და სიღარიბის დაძლევა. 1998 წლიდან დღემდე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საქართველოში 200-ზე მეტი პროექტი დაფინანსდა, რომელთა საერთო ღირებულებამ 25 მილიონ აშშ დოლარამდე შეადგინა.



# „სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის“ ფარგლებში ხარაგაულის მერია 150 000 ლარს დახარჯავს



„ხარაგაული ჩაიფიქრე“ - სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებული პროექტი

2022 წლიდან ხარაგაულის მერია მოქალაქეებს სამოქალაქო ბიუჯეტს სთავაზობს.

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერის კობა ლურსმანაშვილის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს 150 000 ლარი დაიხარჯება.

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში კონკურსის შედეგად ექვსმა პროექტმა გაიმარჯვა.

აღნიშნულ პროექტებზე სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და ყველა მათგანი წლის ბოლომდე დასრულდება.

# ინოვაციების ცენტრი

ხარაგაულში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი ფუნქციონირებს. ცენტრი ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის ბაზაზე 2015 წელს შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით ხარაგაული იყო პირველი, სადაც ინოვაციების ცენტრი გაიხსნა.

ინოვაციების ცენტრი არის უნიკალური შესაძლებლობა, ახალგაზრდებს წვდომა ჰქონდეთ თანამედროვე ტენოლოგიებთან, შექმნან თანამდეროვე ინოვაციური პროდუქტი, აწარმოონ ბიზნეს საქმიანობა და სხვა.



# უსინათლოთა პროგრამა



ხარაგაულის მუნიციპალიტეტში უკვე ხუთ წელზე მეტია უსინათლოთა პროგრამა ფუნქციონირებს.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით 41 832 ლარი დაიხარჯა. მონაწილეები სხვადასხვა სახის სწავლებას გადიან, კერძოდ: ბრაილის შრიფტის სწავლება, ადაპტირებული ხმოვანი კომპიუტერის პროგრამა, სამაგიდო თამაშები და აუდიო ლიტერატურა.

# რელიგიის ხარჯი

## ხარაგაულის მერიამ რელიგიის მიმართულებით ბოლო 10 წლის განმავლობაში 652,2 ათასი ლარი დახარჯა



ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ტაძრების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საკმაოდ სოლიდური თანხა იხარჯება. 2013 წლიდან დღემდე რელიგიის მიმართულებით 652, 2 ათასი ლარი გაიცა. აქედან:

***2013 წელს დაიხარჯა 168,0 ათასი ლარი, მათ შორის:***

- დაბა ხარაგაულის საკათედრო ტაძრის მშენებლობა - 100,0 ათასი ლარი;
- ლაშის ვანის ღვთისმშობლის ეკლესიის რეაბილიტაცია - 2,0 ათასი ლარი;
- ფარცხნალის კვირიკეს სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია - 3,0 ათასი ლარი;
- რიკოთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია - 8,0 ათასი ლარი;
- კიცხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია - 18,0 ათასი ლარი;
- ნუნისის ღვთისმშობლის ეკლესიის რეაბილიტაცია - 9,0 ათასი ლარი;
- ბორითის (ვაშლევის) ღვთისმშობლის ტაძრის რეაბილიტაცია - 10,0 ათასი ლარი;
- ხიდრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია - 3,0 ათასი ლარი;
- ღორეშის მოწყიერის მამათა მონასტრის რეაბილიტაცია- 4,0 ათასი ლარი;
- უბისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის რეაბილიტაცია - 3,0 ათასი ლარი;



ხარაგაულის
საკათედრო ტაძარი

- ახალსოფლის თორმეტი სასუფევლის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია- 4,0 ათასი ლარი;
- უბისა (ბერი მათეს დახმარების ფონდი) - 4,0 ათასი ლარი.

**2014 წელს დახარჯულია 134. 2 ათასი ლარი, მათ შორის:**
- დაბის საკათედრო ტაძრის მშენებლობა - 68,0 ათასი ლარი;
- ღვთისმშობლის შობის ნუნისის მამათა მონასტრის რეაბილიტაცია - 8,0 ათასი ლარი;
- კიცხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია - 8,0 ათასი ლარი;
- რიკოთის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის რეაბილიტაცია - 9,0 ათასი ლარი;
- ბაბის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის რეაბილიტაცია - 6,5 ათასი ლარი;
- ბორითის (ვაშლევის) ღვთისმშობლის ტაძრის რეაბილიტაცია - 25,6 ათასი ლარი;
- ვახანის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის რეაბილიტაცია -1,4 ათასი ლარი;
- ვერტყვიჭალის ღვთისმშობლის ტაძრის რეაბილიტაცია - 3,0 ათასი ლარი;
- ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის რეაბილიტაცია - 3,0 ათასი ლარი;
- ახალსოფლის ეკლესიის ელექტროენერგიის ქსელზე მიერთება - 0,2 ათასი ლარი;
- მარგვეთისა და უბისის ეპარქია - 1,5 ათასი ლარი.

**2016 წელს დაიხარჯა 70,0 ათასი ლარი, მათ შორის:**
- დაბის საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის - 45,0 ათასი;
- წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის რეაბილიტაციისათვის-25 000 ლარი.
- **2017 წელს** დაიხარჯა 50,0 ათასი ლარი, რომელიც გადაერიცხა ა(ა)იპ „მარგვეთისა და უბისის ეპარქიის" განვითარების ფონდს ხარაგაულის საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის.
- **2018 წელს** დაიხარჯა 50,0 ათასი ლარი, რომელიც გადაერიცხა ა(ა)იპ „მარგვეთისა და უბისის ეპარქიის" განვითარების ფონდს ხარაგაულის საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის.
- **2019 წელს** დაიხარჯა 85,0 ათასი ლარი, რომელიც გადაერიცხა ა(ა)იპ „მარგვეთისა და უბისის ეპარქიის" განვითარების ფონდს ხარაგაულის საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის.
- **2020 წელს** დაიხარჯა 50,0 ათასი ლარი, რომელიც გადაერიცხა ა(ა)იპ „მარგვეთისა და უბისის ეპარქიის" განვითარების ფონდს ხარაგაულის საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის.
- **2021 წელს** დაიხარჯა 30 000 ლარი, რომელიც გადაერიცხა ა(ა)იპ „მარგვეთისა და უბისის ეპარქიის" განვითარების ფონდს ხარაგაულის საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის.
- **2022 წელს** რელიგიის მიმართულებით გამოყოფილია 55 000 ლარი და ამჟამად 30 000 ლარი გადარიცხულია მარგვეთისა და უბისის ეპარქიის განვითარების ფონდში ხარაგაულის საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილისა და ფონდ „ქართუს" ფინანსური მხარდაჭერით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, თექვსმეტი ისტორიული ძეგლი აღდგა. ასევე სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა რამდენიმე ტაძარში, რისთვისაც საკმაოდ სოლიდური თანხები დაიხარჯა.



# დაპირებები სრულდება!

- ხელისუფლებამ დაპირებები შეასრულა!
- წინ ბევრი ახალი და საინტერესო სიახლეები გველოდება!

***

- „მოქმედი მერი, ბატონი კობა ლურსმანაშვილი, ღირსეულად, ერთგულად, მთელი გულითა და სულით ემსახურება ხარაგაულს. ასეთივე ერთგულებითა და თავდადებით ბოლომდე დაიხარჯება და გააგრძელებს ხარაგაულისა და ხარაგაულელების მსახურებას," - ამ სიტყვებით აფასებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი ხარაგაულის მერს - კობა ლურსმანაშვილს.



გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"

დირექტორი: ეკა შავიძე;
ტელ: 595-51-98-12

მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15